



„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)“ წინადადებები ციფრული საეთერო მაუწყებლობის პოლიტიკის შესახებ

(დეკემბერი, 2012 წელი)

ავტორი: უჩა სეთური

რედაქტორი: გიორგი კლდიაშვილი

წინამდებარე კვლევაზე ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საავტორო უფლებები. დაუშვებელია კვლევის ან კვლევის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ნებართვის გარეშე.

© ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2012 წელი. ყველა უფლება დაცულია

1. გაციფრულების პოლიტიკის ორიენტირების განსაზღვრა

ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვის პოლიტიკის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია ნათლად ჩამოყალიბდეს ის მიზნები, რომლებიც შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ და საზოგადოებრივ ინტერესებთან. ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რა სიკეთეს მიიღებს ბოლო მომხმარებელი ციფრული სამაუწყებლო მომსახურებით (უკეთესი ხარისხის კონტენტს, ახალი თაობის ინტერაქტიული სერვისებს, საგანმანათლებლო ან სხვა კატეგორიის საინფორმაციო სერვისებს და ა.შ.). მთავრობამ უნდა განისაზღვროს, სახელმწიფო ჩარევა მიზნად ისახავს თუ არა სხვა კონკურენტი პლატფორმების მინიმალური ხარისხობრივი პარამეტრების დადგენას (მაგ: საკაბელო და IPTV მაუწყებლობა) ციფრული საეთერო მაუწყებლობის მიმართულების მსგავსად. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ხედვა საზოგადოებრივი მაუწყებლის ადგილთან დაკავშირებით საქართველოს სამაუწყებლო სივრცეში, გარდამავალ და შემდგომ ეტაპებზე.

შესამუშავებელ სტრატეგიულ ხედვაში ასახული უნდა იყოს ყველა ის ახალი სერვისი, რომლის მიწოდების შესაძლებლობას გაცემული საეთერო მაუწყებლობის საქსელო ლიცენზიები უზრუნველყოფს, კერძოდ სალიცენზიო რეგულირების პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს შემდეგი თაობის სერვისების გავრცელების შესაძლებლობას, სამაუწყებლო კონტენტის პარალელურად, გარკვეული პრიორიტეტების დაცვით. რეგულირების პოლიტიკის კუთხით უნდა დადგინდეს თუ რომელი საქსელო სეგმენტი უნდა დარეგულირდეს საწყის და შემდგომ ეტაპებზე, როგორი იქნება სალიცენზიო პოლიტიკა და პლატფორმათაშორისი კონკურენციის რეგულირების პოლიტიკა. ლიცენზირების რეჟიმის კონტექსტში უნდა წინასწარ განისაზღვროს, იარსებებს თუ არა რაიმე შეზღუდვა მულტიპლექსორის სიმძლავრეების განმკარგავ პირის მიმართ (მაგ: შეზღუდვა საქმიანობის სფერო, მოქალაქეობის, კონტენტის აგრეგატორის ფუნქციის და ა.შ.). უნდა წინასწარ განისაზღვროს თუ როგორი იქნება კომერციული მაუწყებლების დაშვების სამართლებრივი რეჟიმი შეზღუდული მულტიპლექსორის რესურსის არსებობის შემთხვევაში.

გაციფრულების პოლიტიკით უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს დახმარების მოცულობა ციფრული მაუწყებლობის ქსელის დაგეგმარების და მშენებლობის პროცესში და მიიღებენ თუ არა ანალოგიურ დახმარებას, ან შედაგათიან რეჟიმს ახლად შემომსვლელი მულტიპლექს პროვაიდერები. პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის ფარგლებში უნდა განისაზღვროს, თუ რომელი სტანდარტები უნდა დადგინდეს და რომელ პერიოდამდე იმოქმედებს მომსახურების, თუ საქსელო სტანდარტების აღნიშნული შეზღუდვა, რომელი სტანდარტის დადგენა უზრუნველყოფს სპექტრის ეფექტურ გამოყენებას და ბოლო მომხმარებლების ინტერესების დაცვას, ხარჯების ოპტიმიზაციას. პოლიტიკის ფარგლებში უნდა წინასწარ შეფასდეს, თუ როგორ აისახება სტანდარტის დადგენა კონკურენციაზე და ინვესტირების

პროცესზე. პოლიტიკით უნდა დადგინდეს, თუ როგორ მოხდება მომხმარებლების მიგრაცია ციფრული მომსახურებისაკენ და ფინანსური დახმარების მსურველი აბონენტების გარდა, როგორი ტიპის დახმარება დაჭირდებათ სხვა კატეგორიის ბოლო მომხმარებლებს. სწორი რეგულირების შესამუშავებლად, მაქსიმალურად ზუსტად უნდა განისაზღვროს საეთერო მომხმარებლების რაოდენობა დიდ ქალაქებში და რეგიონებში, ასევე უნდა კონკრეტულად განისაზღვროს, თუ როგორი უნდა იყოს რისივერების კონცენტრაცია ოჯახების ჭრილში და სხვა ტექნიკური საკითხები როგორც მომხმარებლის, ასევე მიწოდების მხარეს.

2. ოპტიმალური მოდელის შერჩევა

სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისას უმნიშვნელოვანესია ოპტიმალური და კომპრომისული მოდელი მოძებნა ქსელების აგების სისწრაფეს, მისი აგების ხარჯებსა და ქსელის ხარისხს შორის.

დანერგვის სისწრაფე, ქსელის ღირებულება და ქსელის ხარისხი (რომელიც, როგორც წესი გამოიხატება ტერიტორიის/მოსახლეობის დაფარვის მაჩვენებელში, ციფრული სიგნალის არსებობის მაჩვენებელში, მულტიპლექსირების რაოდენობაში) არის ის მაჩვენებლები, რომლებიც უნდა დაბალანსდეს ქვეყნის ყველა გეოგრაფიული არეალის მიხედვით და მოიძებნოს კონკრეტული გადაწყვეტა ამ მაჩვენებლების შეწონვის და დაბალანსების შესაბამისად, რისი მიზნითაც წარმოგიდგენთ ITU-ს მიერ შემოთავაზებულ ქვემოთმოცემულ ცხრილს:

ქსელის ელემენტები	გავლენა	დანერგვის სისწრაფე	ქსელის დაბალი ღირებულება	ქსელის მაღალი ხარისხი
არსებული საიტების გამოყენება	საიტები ხელმისაწვდომია შეზღუდულ ფასად, შესაძლოა იყოს გარკვეული დაშვების ხელშეშლა დამატებითი სერვისებისათვის გარდამავალ ეტაპზე სიმულქასტის პერიოდში	პოზიტიური	პოზიტიური	ნეგატიური/ნეიტრალური
ახალი, დამატებითი საიტების გამოყენება	შესყიდვის და მონტაჟის დამატებითი დრო	ნეგატიური	ნეგატიური	პოზიტიური
შესაბამისი კვალიფიკაციის	თუ აღნიშნული პრობლემა არ არსებობს, საჭიროა	პოზოტიური	ნეგატიური	ნეიტრალური

ადამიანური რესურსები	დამატებითი რესურსი პროექტის დაგეგმვისათვის, ზედამხედველობისათვის, საინსტალაციო სამუშაოებისათვის			
გარდამავალ პერიოდში მომუშავე დროებითი გადამცემი მოწყობილობები	უკეთესი დაფარვა	ნეგატიური	ნეგატიური	პოზიტიური
GE06 შესაბამისად სიხშირეების გამოყენება	დროის სიმცირე შრომატევადი საერთაშორისო მოლაპარაკებებისათვის მოსაზღვრე ქვეყნებთან და ITU-სთან	პოზიტიური	ნეიტრალური	პოზიტიური/ ნეიტრალური

კომპრომისული ვარიანტის შერჩევას, გამოყენებული უნდა იყოს განსხვავებული მიდგომა და განსხვავებული ტექნიკური გადაწყვეტა განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე და გეოგრაფიულ არეალში (მაგ. რეგიონებში, სადაც მოსახლეობის კონცენტრაცია დაბალია, რთული რელიეფი და გარემო პირობებია). ქსელის დაგეგმარების საკითხისას უნდა გათვალისწინებულ იქნას ეს საკითხები გრძელვადიან პერიოდზე გათვლით.

კომპრომისული ვარიანტის შერჩევას უნდა გათვალისწინებულ იქნას, რომ დაბალხარისხიანი ქსელის შემთხვევაში კონკურენციის უზრუნველყოფა სხვა სატრანსპორტო პლატფორმებს შორის, ციფრული მაუწყებლობის საწყის ეტაპზე, მიუღწევადი იქნება, ხოლო ყველაზე მაღალხარისხიანი ტექნიკური გადაწყვეტის შერჩევას, (განსაკუთრებით პირველი მულტიპლექსორის შემთხვევაში) დაშვების (რომლებიც შესაძლოა იყოს ხარჯებზე ორიენტირებული) მაღალი ტარიფების დადგენით, შეიზღუდება კონკურენცია და არსებული მაუწყებლების კონტენტის ბაზარი.

3. ციფრული მაუწყებლობის სტანდარტების შესახებ წინადადებების შემუშავება

ევროკავშირის სამართლებრივი რეგულირების შესაბამისად, რომელიც შეეხება სამაუწყებლო და სატელეკომუნიკაციო სფეროებს, სტანდარტების განსაზღვრა ციფრული საეთერო სამაუწყებლო სერვისებისათვის, მიზნად უნდა ისახავდეს ქვეყნის მასშტაბით ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფას, მაქსიმალურ ეკონომიკურ ეფექტურობას და საეთერო საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ე.წ. „უნივერსალური“ და სხვა კატეგორიის სამაუწყებლო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის. სტანდარტების

პოლიტიკის ჩამოყალიბებისას არსებობს რისკი, რომ შეიზღუდოს კონკურენცია საეთერო ან სხვა სატრანსპორტო პლატფორმებს შორის. სასურველია, რომ სტანდარტების განსაზღვრისას შეფასდეს საქართველოს სამაუწყებლო და სატელეკომუნიკაციო ბაზრის დინამიკა, ის სტანდარტები, რომელიც დანერგილია სხვა სატრანსპორტო ქსელებში, მომხმარებლების/ოჯახების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ მომსახურების მიღებისას სხვა სატრანსპორტო ქსელებით (მათ შორის ის სატელიტური მაუწყებლობის მომხმარებლების რაოდენობა, რომლებიც არ არიან საქართველოში ავტორიზებული პირების მომხმარებლები).

რეკომენდირებული და სავალდებულო სტანდარტების განსაზღვრისას უნდა მოხდეს ორი ფაქტორის შეპირისპირება, რა დროსაც, უნდა მოხდეს განსხვავებული რეგულირება გარდამავალ, ანუ ე.წ. „მულტიქასტის“ პერიოდში და ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ. გარდამავალ პერიოდში, ჩვენი მოსაზრებით, უნდა მოხდეს პირველი ორი ეროვნული მულტიპლექსირების ლიცენზირებისას, საყოველთაო ხელმისაწვდომობის, საქსელო და სატრანსპორტო ქსელის ხარჯების ოპტიმიზაციის, ბოლო მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით, შედარებით მეტი ინტერვენცია სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო ანალოგური მაუწყებლობის სრული გათიშვის შემდგომ, კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, ახალი სერვისების დანერგვის, პლატფორმათაშორისი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა მოხდეს შედარებით ლიბერალური მიდგომის ჩამოყალიბება, მათ შორის გარდამავალ პერიოდში დადგენილი სავალდებულო სტანდარტების რეკომენდირებულ სტანდარტებად შეცვლის კუთხით 2015 წლის შემდგომ პერიოდში (უნდა განისაზღვროს მხოლოდ ის სტანდარტები, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთთავსებადობის საკითხებს და აღმოფხვრის არასწორი სტანდარტის დანერგვის რისკებს, ასევე ხელს შეუწყობს ბაზარზე ინოვაციების დანერგვას).

ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტებიდან გარდამავალ პერიოდში, ეროვნული საეთერო სამაუწყებლო ქსელის ლიცენზიის გაცემისას, უნდა დადგინდეს:

- *სატელევიზიო ჩვენების ფორმატი – SDTV*
- *გადაცემის სტანდარტი: DVB-T2*
- *კომპრესიის სტანდარტი: MPEG4*

არსებული განსხვავებული მოსაზრებების მიხედვით, ისევე როგორც ევროპის და მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით (მათ შორის მოსაზღვრე ქვეყნებში) **სატელევიზიო სიგნალების გადაცემის სტანდარტი DVB-T2 უალტერნატივოდაა მიჩნეული**, ბევრი გარემოების გამო (სერვისები, სიხშირეები, კონკურენცია) საქსელო ხარჯების ოპტიმიზაციის კუთხით, ისევე როგორც ბოლო მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, რაც განპირობებულია კონკურენტული, ფასიანი ინტერაქტიული სამაუწყებლო სერვისების მიწოდების შესაძლებლობით. გარდამავალი ეტაპისათვის აღნიშნული სტანდარტის დანერგვა ხარჯების

სიდიდის და ბოლო მომხმარებლის ტერმინალების სიძვირის გამო შესაძლოა არ მიგვეჩნია ოპტიმალურად, თუმცა გრძელვადიან პერიოდზე გათვლით, კონკურენციის უზრუნველყოფის და ბაზარზე ინტერაქტიული სერვისის მიმწოდებელი კომპანიების შემოსვლის გაიოლების კუთხით, საეთერო მაუწყებლობაზე დამოკიდებული საშუალო ევროპული მაჩვენებლის გათვალისწინებით, ოპტიმალურია მოხდეს DVB-T2 სტანდარტის დანერგვა, მიუხედავად გადაწყვეტის სიძვირისა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მომხმარებლის მხარეც, რადგან რისივერების გამოცვლა სამომავლოდ გამოიწვევს არაგონივრულ ხარჯებს (ევროპაში ახალ სტანდარტზე გადასვლას ართულებს მოძველებული 200 მილიონამდე რესივერის გადაიარაღების პრობლემა).

პირველი მულტიპლექსოპერატორის (ეროვნული საეთერო მაუწყებლობის ქსელის) მიერ სამაუწყებლო მომსახურების დაწყების და გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდგომ, ახალ მულტიპლექს ოპერატორს უნდა მიეცეს უფლება მოახდინოს მაღალი გარჩევადობის (HDTV) სატელევიზიო სტანდარტით ფასიანი მომსახურების შეთავაზება. აღნიშნულ ეტაპის შემდგომ კომპრესიის ტექნოლოგია უნდა იყოს ღია, ხოლო ასოცირებული მომსახურების სახეობთან დაშვება უნდა მოხდეს ევროკავშირის ე.წ. „ჩარჩო დირექტივის“, „დაშვების დირექტივის“, „ელექტრონულ კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზოგადი წესით (თუ არ იარსებებს კონკურენციის რეგულირების აუცილებლობა აღნიშნული მიმართულებით).

დასკვნის სახით, შესაძლოა ითქვას, რომ მიუხედავად მეორე გენერაციის სამაუწყებლო სტანდარტის უპირატესობისა, პირველი გენერაციის სტანდარტი შესაძლოა შეირჩეს ქსელის ფინანსური მაჩვენებლების, რესივერების ფასის, უნივერსალური უფასო საეთერო მაუწყებლობის დანერგვის აუცილებლობის და კონტენტის აგრეგატორების დაშვების გაიოლობის კუთხით. **DVB-T2/DVB-T სტანდარტის** შერჩევა დამოკიდებულია სახელმწიფოს პოზიციაზე დაფინანსების პოლიტიკასთან და მის მოცულობასთან დაკავშირებით.

რისივერების სპეციფიკაციის დადგენისას, უნდა განისაზღვროს ე.წ. „E-book“ მიხედვით, რომელიც არის IEC მიერ მიღებული (ევროპული 62216 სტანდარტი) *DVB-T სისტემის რისივერებისათვის*. ასევე, უნდა გათვალისწინებული იქნას ის მოთხოვნები, რომელიც ევროპელი მაუწყებლების გაერთიანების წევრებისათვის HDTV რისივერებისათვის არის რეკომენდირებული.

ციფრული მაუწყებლობის საწყის სტადიაზე, პლატფორმის შიდა კონკურენციის უზრუნველსაყოფად, მომხმარებლების ინტერესების დასაცავად მიზანშეწონილია, რომ დადგინდეს მინიმალური საქსელო QOS პარამეტრები და მოხდეს მათი კონტროლი (მაგ: ჯიტერი გაკონტროლდეს MPEG დეკოდერებში) სამაუწყებლო ქსელის გამოყენებით

ხარისხიანი მომსახურების მისაწოდებლად და ქსელის გამტარუნარიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად.

დაფარვის პარამეტრი, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მაუწყებლის არხების უნივერსალური გავრცელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც საეთერო საქსელო ლიცენზია/ნებართვაში უნდა განისაზღვროს. შესაძლოა, პროექტით შემოთავაზებული 90%-იანი დაფარვა მიღწეული იქნას ორი პლატფორმის კომბინაციის შედეგად. მოდელის შერჩევა უნდა მოხდეს ხარჯების ეფექტურობის შეფასების საფუძველზე.

4. ერთსიხშირიანი და მრავალსიხშირიანი ქსელების გამოყენების (ქსელის ტოპოლოგიის) საკითხის გასაზღვრა

ITU-ს GE06 შეთანხება ითვალისწინებს, როგორც MFN, ასევე SFN, ასევე შერეული მოდელი არსებობას, კონკრეტული სამაუწყებლო ზონის შიგნით.

ჩვენი მოსაზრებით, მულტისიხშირული მიდგომის ერთ-ერთი დადებითი მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქსელის აგებისას არსებული ანალოგური ქსელის ინფრასტრუქტურა, დიდ წილად გამოსადეგი იქნება, რაც დაზოგავს არამარტო სატრანსპორტო ქსელის ხარჯებს, არამედ დაშვების საფასური ნაკლები იქნება მულტიპლექს ოპერატორებთან კონტენტის მწარმოებლებისათვის/აგრეგატორებისათვის. საეთერო ქსელში გარკვეული ტექნიკური ცვლილებების შემთხვევაში, არსებული ინფრასტრუქტურა, შესაძლოა, გამოსადეგი იყოს მომხმარებლის მხარესაც.

ევროპის ქვეყნების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შესაძლოა, ითქვას, რომ SFN მიდგომაზე დაფუძნებულ ქსელის აგებისას, გარდამავალ ანუ ე.წ. მულტიქსატის პერიოდში, ევროპული ქვეყნები აწყდებიან შემდეგ პრობლემას: სატელევიზიო მაუწყებლობა ხორციელდება პარალელურ რეჟიმში, რის გამოც, ანალოგური მაუწყებლობისათვის დაკავებულია გარკვეული სპექტრი, რომელიც ფუნქციონირებს MFN სქემით. მოდელი უნდა შეირჩეს კონკრეტულ გეოგრაფიული არეალის შიგნით არსებული დაკავებული და თავისუფალი სიხშირული რესურსის ანალიზის საფუძველზე.

ჩვენი მოსაზრებით: ე.წ. „მულტიქსატის“ პერიოდში მიზანშეწონილია, რომ მაუწყებლობა განხორციელდეს მრავალსიხშირული ქსელის ტოპოლოგიით ან შერეული მოდელით, ხოლო ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ, ახალი სიხშირული რესურსის გამოთავისუფლების შემდგომ, ახალი ლიცენზიებით უნდა განისაზღვროს ერთსიხშირიანი ქსელის ტოპოლოგია.

ამ საკითხთან კონტექსტში, საინტერესოა GE06 განაწილების მოდიფიცირების საკითხიც. ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა მოხდეს ITU-სთან არსებული ციფრული ზონალური დაყოფის საკითხის გადახედვა, მათი ოპტიმიზაციის

მიზნით. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გარკვეული დაბრკოლებები არსებული ზონალური დაყოფის გამო, საქართველოსათვის განსაზღვრული ციფრული დაყოფის მიმართულებით (In the case where a satisfactory service cannot be obtained by using a Plan entry), შესაძლებელია, ეთხოვოს ITU-ს მოახდინოს განაწილების გეგმის შეცვლა GE06 მე-4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. თუ ამგვარი ცვლილებები, მეზობელ ქვეყნებთან თავსებადობის პრობლემებს არ შექმნის, მათთან აღნიშნული ცვლილებების შეთანხმება საჭირო არაა, შესაბამისად არამოსაზღვრე ზონებში არსებულ დოკუმენტში, ქვეყნისათვის მისაღები ცვლილებების კუთხით, შესაძლოა, განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები.

5. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიების და ავტორიზაციის საკითხებზე წინადადებების შემუშავება

საქართველოში არსებული რეგულირებით, კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობა ხორციელდება ტელე ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების, („საკაბელო ქსელით მაუწყებლობა“ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით 11.04.2012-დან ამოღებულია) ან სამაუწყებლო გადამცემების მეშვეობით სიხშირული სპექტრის გამოყენებით.

არსებული ევროპული პრაქტიკის, ისევე, როგორც ევროკავშირის ჩარჩო დირექტივის და სამაუწყებლო სფეროს მარეგულირებელი რეკომენდირებული რეგულირების მიხედვით (მიდგომა სადენიან და არასადენიან მაუწყებლობასთან დაკავშირებით უნდა გახდეს იდენტური), ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად (საგულისხმოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საკაბელო ქსელით გამოყენებით მაუწყებლობისათვის ლიცენზირების რეჟიმი გააუქმა) უნდა ცალკე დარეგულირდეს კონტენტის წარმოების უფლების გაცემის წესი (მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით), და დამოუკიდებლად უნდა მოხდეს სიხშირული სპექტრის გამოყენებით სატელეკომუნიკაციო ქსელით ოპერირების უფლების გაცემა. აღნიშნული რეჟიმის მარეგულირებელი ნორმები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონში ასახულია 2008 წლიდან, ხოლო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მოითხოვს არსებით ცვლილებებს.

რეგულირების (განსაკუთრებით ლიცენზირების) მიზნებისათვის რადიოსიხშირული ქსელი უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი პლატფორმა, სხვა პლატფორმების მსგავსად, რომელიც თვისობრივად განსხვავდება სხვა სადისტრიბუციო პლატფორმებისაგან, თუმცა გამოიყენება „იდენტური კონტენტის მომხმარებლამდე მისატანად“. სამაუწყებლო კონტენტის შექმნის უფლებას შორის და სიხშირის მინიჭებას შორის კავშირის გაწყვეტით

მოხდება სპექტრის მართვის სისტემის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ტექნიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დანერგვა.

ლიცენზირების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის სამაუწყებლო ქსელის ლიცენზიის გაცემისას მასში გაერთიანებული უნდა იყოს შემდეგი სამი უფლება:

- **სპექტრით სარგებლობის უფლება**, რომელიც მოიცავს რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენების უფლებას განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში გარკვეული დროის პერიოდით, სატელევიზიო სერვისების გავრცელების ქსელის შექმნის ვალდებულებას გარკვეული მოკლე დროის ინტერვალში (roll-out obligations), ხარისხობრივი პარამეტრების უზრუნველყოფის ვალდებულება (Service level obligations), რომელიც მოიცავს მაუწყებლობის სტანდარტებს, გეოგრაფიული/მოსახლეობის დაფარვის მაჩვენებელს, სერვისის/ქსელის ხელმისაწვდომობას და ა.შ.;
- **მაუწყებლობის გავრცელების უფლება** მოიცავს სატელევიზიო კონტენტის გავრცელების ნებართვას ლიცენზიის პირობებით განსაზღვრული ციფრული საეთერო სამაუწყებლო პლატფორმით, განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში, დროის განსაზღვრულ პერიოდში. აღნიშნულ უფლებას უნდა მოიცავდეს ასევე შემდეგ ვალდებულებებს, როგორცაა:
 - ა) ვალდებულება მოხდეს გარკვეული სატელევიზიო სერვისების მიწოდება (მათ შორის **‘must carry’**);
 - ბ) საზოგადოებრივი მაუწყებლობის გავრცელების ვალდებულება (არსებობს სახელმწიფოებრივი ინტერესი და ლიცენზიაშივე განისაზღვრება ვალდებულება განხორციელდეს ამ კონტენტის გადაცემა, ან მოხდეს კონკრეტული კომერციული კონტენტთან ერთად საზოგადოებრივად აქტუალური კონტენტის გავრცელება (მაგ. ახალი ამბების გავრცელება);
 - გ) სერვისის ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულება, რომელიც მოიცავს მაუწყებლობის სტანდარტებს, გეოგრაფიული/მოსახლეობის დაფარვის მაჩვენებელს, სერვისის/ქსელის (service/network) ხელმისაწვდომობა, განაწილებული სიხშირულიზოლი/მულტიპლექსორის სიმძლავრე სერვისების მიხედვით და ა.შ.);
- **ოპერირების უფლება**, რომელიც იძლევა უფლებას, რომ ოპერატორმა შექმნას (დაშვებით) და მოახდინოს სამაუწყებლო ინფრასტრუქტურით ოპერირება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში და დროის ინტერვალში, ისეთი ასპექტების დაცვით, როგორცაა გარემო პირობებზე ზეგავლენის და ჯანმრთელობის საფრთხის რეგულირება. ოპერირების უფლება უნდა მოიცავდეს ინფრასტრუქტურის, კერძოდ საიტების გაზიარების ვალდებულებას (ქსელის ოპერატორი ან ინფრასტრუქტურის მფლობელი (ანძების მესაკუთრე კომპანია) აქირავებს ანძების რესურსს გარკვეული კომერციული პირობების შესაბამისად) და ანტენების ერთობლივი გამოყენების

ვალდებულება (ქსელის ოპერატორს ეკისრება ვალდებულება მახდინოს დაშვება სამაუწყებლო ანტენებთან თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მულტიპლექს ოპერატორს ბოლო მომხმარებლისათვის საეთერო მაუწყებლობის მიწოდების ჯაჭვში აქვს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, უნდა შეირჩეს კონკრეტული მოდელი არსებული ორი ძირითადი მოდელიდან (პირველი - დამოუკიდებელი, კომერციული და დაშვების ვალდებულების მქონე მულტიპლექსორ-ოპერატორი და მართული მულტიპლექსორი (ფაქტობრივად ტექნიკური ფუნქციის მქონე), რომელსაც მართავს სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირი). ჩვენი მოსაზრებით, მულტიპლექს ოპერატორს, სავალდებულოდ გასავრცელებელი კონტენტის გარდა, დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს უფლება, წინასწარ გამოცხადებული პირობებით (პირველ რიგში ფასით), არადისკრიმინაციულად, გამჭვირვალედ მოახდინოს დაშვების მსურველი მაუწყებლობის ლიცენზიის/ავტორიზაციის მქონე პირის დაშვება. სახელმწიფოს ჩარევა კონტენტის განთავსებისას უნდა მოხდეს სავალდებულო კონტენტის საკითხში გადაწყვეტისას, ასევე დაშვების საკითხის გადაწყვეტისას მარეგულირებელი კომისიის მიერ. ინტერვენცია უნდა განხორციელდეს გარდამავალ პერიოდში და ეროვნული მაუწყებლობის ქსელის ანუ ეროვნულ მულტიპლექს ოპერატორს დაეკისროს აღნიშნული ვალდებულებები როგორც ლიცენზიის, ასევე კონკურენციის წინასწარი რეგულირების საკითხში.

გარდამავალ და ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ პერიოდში, მულტიპლექს ოპერატორს, ე.წ. „ციფრული მაუწყებლობის ჯაჭვის“ ელემენტებს შორის, მართვის უფლების გარდა, ლიცენზიით უნდა დარეგულირდეს შემდეგი მიმართულებებიც:

კონტენტის მწარმოებელი	სერვისის აგრეგატორი /შემკრები	მულტიპლექს ოპერატორი	სერვისის პროვაიდერი	კონტენტის დისტრიბუტორი	მოწყობილობის მიმწოდებელი

ჩამოთვლილი ფაქტორები, შესაძლოა, ცალკე დარეგულირდეს ლიცენზიების სახით, თუ იარსებებს მათი სეპარაციის აუცილებლობა, ბაზარზე ჩამოყალიბებული მდგომარეობის გამო.

6. მინიჭების პროცედურები

მიგვაჩნია, რომ ციფრულ მაუწყებლობის გარდამავალ და ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ პერიოდში, უნდა დაიშვას საერთო ლიცენზირებიდან გამონაკლისი წესები, კერძოდ, მინიჭების საფასურის, საკონკურსო პირობების და სხვა გარდამავალი პერიოდისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, ასევე სპეციფიკური

ვალდებულებების დაკისრების მიმართულებით. მინიჭებისათვის მისაღებად, მიგვაჩნია, არა სააუქციონო, და ე.წ. „first come first served“ პრინციპები, არამედ **საჯარო კონკურსი**, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ლიცენზიის გაცემის წინ, არსებითად შეფასდეს კონკურსანტის მიერ განსაზღვრული საქსელო გადაწყვეტების, სიხშირული სპექტრის გამოყენების, დაშვების ტარიფების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც განსაზღვრული იქნება მარეგულირებელი კომისიის მიერ საკონკურსო პირობებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. აღნიშნული საკონკურსო პირობები, რომლებიც ყველა დაინტერესებულ პირისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული ფორმით (კომისიის ინტერნეტ გვერდზე) საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საწყის ეტაპზე. მთავრობის წარმომადგენლების და მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლების მიერ, სასურველია, რომ მოხდეს სპეციალური განმარტებების, რჩევების და კონსულტაციების მიცემა ყველა დაინტერესებული პირებისათვის, მედია ორგანიზაციებისათვის და არასამთავრობო სექტორისათვის. ჩვენი მოსაზრებებით, მიზანშეწონილია, კონკურსის პირობებით მოხდეს ბოლო მომხმარებლისათვის განკუთვნილი ციფრული სატელევიზიო მომსახურების მინიმალური ხარისხობრივი პარამეტრების განსაზღვრა, რომლის უზრუნველყოფის ვალდებულება დაეკისრება გამარჯვებულ კონკურსანტს. საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტის და „**მასთ ქერის**“ (**Must Carry**) გავრცელების ვალდებულებასთან ერთად, ლიცენზია უნდა მოიცავდეს კონკურენციის დაცვის პირობებს და საინფორმაციო ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალობის ვალდებულებებს.

პირველი მულტიპლექს ოპერატორის, ასე ვთქვათ „ეროვნული სატელევიზიო სამაუწყებლო ქსელის პროვაიდერის“ საკონკურსო პირობებით შერჩევა უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც გარდამავალ პერიოდში მოქმედ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი კონტენტის მულტიპლექსირების განმახორციელებელ ოპერატორს უნდა უკავშირდებოდეს.

პირველ ეტაპზე, სასურველია, არ მოხდეს საკონკურსო მოდელის და სააუქციონო მოდელის დაკავშირება მულტიპლექს ოპერატორის შესარჩევად, რადგან გარდამავალ ეტაპზე სასურველია შეირჩეს ის მულტიპლექს ოპერატორი, რომელიც ყველაზე ოპტიმალურად (მაღალი ხარისხით და დაბალი დაშვების ფასით) მოახდენს მულტიპლექს ოპერირებისას დაშვების მომსახურების მიწოდებას, დადგენილი ხარისხობრივი პარამეტრების დაცვით. არანაკლებ მნიშვნელოვანია სამაუწყებლო არხების რაოდენობა და ქსელის მშენებლობის სიჩქარე. აღნიშნულ მულტიპლექს ოპერატორს, ფაქტობრივად დაკისრებული იქნება ე.წ. უნივერსალური საეთერო მაუწყებლობის“ ფუნქცია.

სპექტრის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საკონკურსო პირობების განსაზღვრისას და მათი შეფასებისას, დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს გამოყოფილი სიხშირული სპექტრის ყველაზე ეფექტური და მინიმალური გამოყენება იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც ლიცენზიის პირობებით არის განსაზღვრული, ისევე როგორც ტექნიკური გადაწყვეტა ქსელის ასაგებად.


ასევე, აღნიშნული საკითხი უნდა შეფასდეს ეკონომიკური ეფექტურობის კუთხითაც, კერძოდ, წარმოდგენილი ეკონომიკური მოდელი ფინანსურად მაქსიმალურად დაბალი დანახარჯებით უნდა იძლეოდეს დასმული ამოცანის გადაჭრის შესაძლებლობას.

7. „Must Carry“ ვალდებულების რეგულირება

ე.წ. „უნივერსალური მომსახურების დირექტივა“ მართალია განსაზღვრავს „Must Carry“-ს პროცედურების არსებობის აუცილებლობას, გამჭვირვალობას და კონსულტაციების წარმოების აუცილებლობას, თუმცა ამ საკითხის მჭიდროდ დაკავშირება ცირული საეთერო მაუწყებლობის საკითხთან შესაძლოა მოხდეს მხოლოდ ბოლო მომხმარებლების რაოდენობის გარკვევის შემდგომ.

იმისათვის, რომ არ მოხდეს კომერციული კონტენტის გავრცელების და დაშვების შეზღუდვა მულტიპლექს ოპერატორთან, უნდა განხორციელდეს ე.წ. „Must Carry“ და კომერციული არხების რაოდენობრივი ქვოტის კონკრეტულად განსაზღვრა (მაგ: 5 ყველაზე რეიტინგული კომერციული არხი), კომისიის მიერ ფართოდ აპრობირებული „სამაუწყებლო პრიორიტეტების“ კვლევის მეთოდოლოგიით. შერჩევის კრიტერიუმები უნდა განისაზღვროს წინასწარ, ხოლო ამ კონტენტის შერჩევა უნდა იყოს გამჭვირვალე. ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, უნდა შეირჩეს ის პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს „მნიშვნელოვანი რაოდენობის ბოლო მომხმარებლების“ წვდომას ე.წ. „უნივერსალურ“ კონტენტთან. რიგი რეგიონებისათვის, უპრიანია, რომ სწორედ სატელიტურ მაუწყებლებს დაეკისროთ აღნიშნული ვალდებულება, ხოლო ბოლო მომხმარებლების უფლების რეალიზაცია, შესაძლებელია, მოხდეს მიმღები მოწყობილობების უსასყიდლოდ დარიგებით, ანდა მინიმალურ ფასად მიწოდებით.

სხვადასხვა იმ პლატფორმების რაოდენობა, რომელთანაც მოსახლეობის მაქსიმუმს აქვს წვდომა. საქართველოს გეოგრაფიული ლანდშაფტის თავისებურებების გათვალისწინებით საინტერესოა ავსტრიის მაგალითი, სადაც საეთეროს 11%, სატელიტურს 49%, ხოლო საკაბელოს 40% უკავია. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა გერმანიაში, სადაც საკაბელო მაუწყებლობის პლატფორმას 55% უკავია, 14% საეთეროს, ხოლო 23 % სატელიტურს.



პრობლემას წარმოადგენს ფართოზოლოვანი ძირითადი ქსელის მდგომარეობაც, რომელიც ბაზრის კვლევის და ანალიზის არარსებობის გამო, გაურკვეველია. კონვერგენციის ტენდენციის გათვალისწინებით, პარალელურად უნდა მოხდეს ინტერნეტის მაღალსიჩქარიანი ქსელების განვითარების ხელშეწყობაც, ისეთი მნიშვნელოვანი კონტენტის მისაწოდებლად, როგორცაა საგანმანათლებლო და ჯანდაცვის კონტენტი.

გერმანიაში must carry ვალდებულება დაკისრებული აქვს საკაბელო სატელევიზიო ქსელის ოპერატორებს (ჰქონდეთ გარკვეული თავისუფალი არხები), მაღტაში ეს ქვოტა ორიდან 7 არხამდე მერყეობს. ანალოგიური მიდგომაა პოლონეთშიც, იგივე შეეხებათ ანალოგიური სამაუწყებლო ქსელის პროვაიდერებსაც. იტალიაში საეთერო ქსელის პროვაიდერებს სიმძლავრის 20% უნდა ჰქონდეთ დათმობილი ამგვარი კონტენტისათვის.

პლატფორმის და ამ ვალდებულების შეპირისპირებისათვის შეიძლება აღნიშნოს, რომ აღნიშნული ვალდებულება ძირითადად დაკისრებული აქვთ საქსელო პროვაიდერებს. გამონაკლისი რამდენიმეა, კერძოდ საფრანგეთის და ლიტვის პრაქტიკა, სადაც ეს ვალდებულება დაკისრებული აქვს სატელიტურ მაუწყებლობის ქსელები მფლობელებს (დანია).

ჩვენი მოსაზრებით, ბოლო მომხმარებლების რაოდენობის გარკვევის და დომინირებული პლატფორმების გამოკვეთის შემდგომ, მაღალმთიანი რეგიონების ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში, უნდა განისაზღვროს პლატფორმის თუ პლატფორმების, “must carry” არხების შერჩევის (საზოგადოებრივი მაუწყებლის თუ მის გარეშე) და დაშვების ეკონომიკური მოდელი, მათი შერჩევისთვის საჭირო კვლევის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

8. სოციალურად დაუცველი და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარება

აღნიშნულ საკითხზე შესაბამისი ხედვის ჩამოსაყალიბებლად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკითხი მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივი კონტენტის მიწოდების აუცილებლობას უნივერსალური სამაუწყებლო მომსახურების მიწოდების ფარგლებში (იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტს განვსაზღვრავთ „must carry“-ს ფარგლებში შესაძლოა ამ ვალდებულების ერთ კონტექსტში განხილვა). საქართველოში არსებული, ან დაგეგმილი სატრანსპორტო ქსელიდან, აღნიშნული განხორციელების შესაძლებლობა აქვს საეთერო და თანამგზავრულ პლატფორმებს. ჩვენი მონაცემებით, არსებული ანალოგური ქსელი საქართველოს მთიანეთს რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო ვერ დაფარავს, ხოლო ციფრული საეთერო ქსელის მშენებლობა და მოვლა რთული რელიეფური მდებარეობის, საიტების ინფრასტრუქტურის ქსელის არარსებობის გამო, დიდ სახსრებთან იქნება დაკავშირებული. ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე, აღნიშნული კონტენტის მიწოდების ალტერნატიულ პლატფორმად უნდა მოხდეს სატელიტური პლატფორმის განსაზღვრა, საეთერო პლატფორმასთან ერთად, რაც, შესაძლოა, მხარდაჭერილი იყოს სახელმწიფო დაფინანსებით. აღნიშნული საკითხი აქტუალურია კახეთის მთიანეთისთვის და მცხეთა-მთიანეთის მხარისთვის, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისათვის. საკითხი აქტუალურია იმ კონტექსტში, რომ დაფარვის ვალდებულების განსაზღვრა არსებული რეგულირების და წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხდება არა ტერიტორიული დაფარვის, არამედ მოსახლეობის დაფარვის კრიტერიუმით.

უნდა მოხდეს ყველა არსებული სატრანსპორტო ქსელის კვლევა და წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კონკრეტულად განისაზღვროს ის გეოგრაფიული ზონები, სადაც სახელმწიფო დაფინანსებს არამარტო რესივერის, ასევე სატელიტური მიმღების ხარჯებს (თუ არსებული სატელიტური მაუწყებლების მიერ აღნიშნულ ზონებში არ მოხდება შესაბამისი ტერმინალების განთავსება). აღნიშნულ საკითხთან კონტექსტში მნიშვნელოვანია სატელიტური მაუწყებლობისთვის DVB-S სტანდარტის დადგენა.

9. მოსახლეობის ინფორმირებულობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავება

მოსახლეობის ინფორმირებულობა უნდა მოხდეს რამდენიმე მიმართულებით:

- ინფორმაციის მიწოდება ციფრული უფასო და ფასიანი საეთერო მაუწყებლობის სიგნალების შესახებ და ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის დროის შესახებ;

- ინფორმაცია, თუ როგორი პარამეტრების ციფრული საეთერო მომსახურების მისაღებად აუცილებელი რისიკერების და ტელევიზორების პარამეტრების შესახებ, ასევე ინფორმაცია მიმღები ანტენების და მისი მკვებავი კაბელის პარამეტრების და მონაცემების შესახებ;
- ინფორმაცია მოწყვლადი და განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნების დაფინანსების, საინფორმაციო, საინსტალაციო პროცესში დახმარებისთვის განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ.

10. საკანონმდებლო აქტებში ცვლილების საჭიროებების დადგენა და მათი პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა

საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, შესაბამისობაშია ევროკავშირის მიერ მიღებული, სატელეკომუნიკაციო მიმართულების მარეგულირებელ ჩარჩო დირექტივასთან, თუმცა მიზანშეწონილია ცვლილებები შევიდეს შემდეგ მუხლებში:

ა) მე-2 მუხლში (ტერმინთა განმარტება)(„ბ“, „ვ“, „რ“, „ყ“, „ჰ³⁶“, „ჰ⁴¹“, „ჰ⁴⁵“); 49-ე მუხლში (ლიცენზია, ლიცენზიის მოქმედების ვადა);

ბ) ევროკავშირის და ევროსაბჭოს 2009 წლის N140 დირექტივის შესაბამისად გაფართოვდა ე.წ. კოლოკაციის ცნება და გაფართოვდა ე.წ. „ერთობლივი გამოყენების“ ნაწილიც (მე-12 მუხლი-თანალოკაცია და ელექტრონული საკომუნიკაციო საქსელო ელემენტების და მათთან დაკავშირებული ელემენტების ერთობლივი გამოყენება)

იქ, სადაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები ფლობენ უფლებას, რომ მოახდინონ მათი მოწყობილობების განთავსება-ინსტალაცია კერძო ან/და სახელმწიფო საკუთრებაში, ან მოახდინონ ამ ქონებით სარგებლობის უზრუნველყოფის იძულება, ეროვნული მარეგულირებლები, თანაზომადობის და პროპორციულობის პრინციპის დაცვით, უფლებამოსილნი არიან ამგვარ კომპანიებს დაავალონ ასეთ საოპერაციო აქტივების გაზიარების ვალდებულება.

მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან პირველი პუნქტით განსაზღვრული მესაკუთრეებისაგან, მოახდინონ მათი ქონების და საკომუნიკაციო საშუალებების გაზიარების დავალდებულება (მათ შორის ფიზიკურად თავსებადი შენობის), ან დაავალონ მხარეები მოახდინონ საზოგადოებრივი სამუშაოების განხორციელებისას თანამშრომლობა და კოორდინაცია (მიიღონ ზომები გარემოს დაცვის მიზნით, ქალაქგეგმარების და ჯანმრთელობის და სხვა მიზნების შესაბამისად). რეგულირება, შესაძლოა, შეეხოს

საქსელო პასიური თუ აქტიური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და დაგეგმვის, ასევე მისი შემდგომი ერთობლივი ექსპლუატაციის წესების დადგენას.

გ) კანონის მე-19 მუხლს უნდა დაემატოს ეწ. „ მულტიპლექსირებაზე ლიცენზირებული ოპერატორის“ ვალდებულება, რომ მოხდინოს მისი მართვის ქვეშე მყოფ სიმძლავრესთან დაშვების მსურველი პირის შეუზღუდავი დაშვება დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით და არადისკრიმინაციული პირობებით. დაშვების შეწყვეტა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ კომისიის თანხმობით, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია, აღნიშნული ოპერატორს დაევალოს ე.წ. „reference offer“-ს გამოქვეყნება საჯაროდ.

დ) რადიოსიხშირული სპექტრის ლიცენზია ციფრული სატელევიზიო სიგნალების გავრცელების ქსელის ასაგებად უნდა გაიცეს კონკურსის საფუძველზე.

ე) 56-ე მუხლი (ფართოფორმატიანი ციფრული სატელემაუწყებლო მომსახურება), ამავე მუხლის მეორე პუნქტში უნდა მოხდეს FTA ციფრული საეთერო მაუწყებლობის მინიმალური ხარისხობრივი პარამეტრების განსაზღვრა.

ამ მუხლში ან მომხმარებელთა თავში უნდა ჩაემატოს ბოლო მომხმარებლისთვის მიწოდებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მომსახურების მინიმალური სტანდარტები, რომელიც უნდა განისაზღვროს:

1. სტანდარტული გარჩევადობის სატელევიზიო სიგნალი;
2. გადაცემის სტანდარტი DVB-T2
3. სიგნალის კომპრესიის სტანდარტი MPEG4

ვ) ინდივიდუალური დაშვების სისტემების გამოყენების პირობები უნდა ჩასწორდეს ასევე გამჭვირვალობის, საავტორო უფლებების და სხვა მიმართულებით), ისევე როგორც API-ს და EPG-ს შემთხვევაში.

11. ცვლილებები საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“

ა) მე-2 მუხლში უნდა შეიცვალოს „რ“, „ტ“ „ხ“ , მე-4 მუხლი, უნდა ასევე შეიცვალოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი (უნდა დარჩეს მხოლოდ ლიცენზიის პირობების დადგენა, ლიცენზიების გაცემა, ზოგადად, გასარკვევია ავტორიზაციით მოხდება სამაუწყებლო კონტენტის შექმნის უფლების მინიჭება თუ ლიცენზიით); მე-12 მუხლი; მე-17 მუხლი (მუხლი უნდა გადატანილი იქნას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, თუ გადაწყდება, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს უნდა ჰქონდეს საკუთარი ქსელი, რომლითაც განახორციელებს კომერციულ საქმიანობას, კერძოდ გააქირავებს და მიიღებს ეკონომიკური საქმიანობით შემოსავალს); 36-ე და 37-ე მუხლები; 37¹-ე მუხლი; მე-4

თავის ნაწილი უნდა ამოღებულ იქნას, ნაწილი დაზუსტდეს შერჩეული მოდელის შესაბამისად.

ბ) ამოსაღებია მე-10 თავი ხოლო, მე-11 თავი უნდა ჩასწორდეს შერჩეული ეკონომიკური მოდელის შესაბამისად.

12. კონკურენციის წინასწარი რეგულირებისთვის საკითხები

პოლიტიკის ჩამოყალიბების ეტაპზე, მიზანშეწონილია, მოხდეს კონკურენციის საკითხების განსაზღვრა, თუ დაგეგმვებთ, რომ მომავალში წარმოიშვას კონკურენციის შეზღუდვის საფრთხე, იმ კონტექსტში, რომ გარდამავალ ეტაპზე, გარკვეული პერიოდით, ბაზარზე წარმოდგენილი იქნება ერთი მულტიპლექს ოპერატორი, რამაც შესაძლოა, დახურული და ექსკლუზიური მოდელი ჩამოაყალიბოს, რისი თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, მოხდეს პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა და კონკურენციის წინასწარი რეგულირება.

ევროკავშირის 2003 წლის რეკომენდაციის მიხედვით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიეცათ რეკომენდაცია დაერეგულირებინათ წინასწარი რეგულირების ფარგლებში wholesale broadcasting transmission, to deliver broadcast content to end-users (market 18), რომელიც საშუალებას მისცემს ბაზარზე შემოვიდნენ ის სუბიექტები, რომლებსაც სურთ მოახდინონ სამაუწყებლო სერვისების გადაცემის მომსახურების შეთავაზება (პლატფორმათაშორისი კონკურენციის უზრუნველსაყოფად), ასევე ბაზარზე შემოსვლის საშუალება მიეცეთ იმ კომპანიებს, რომლებსაც სურთ მომსახურება მიაწოდონ პლატფორმის შიგნით ე.წ. end to end transmission capacity სერვისების მიწოდების გზით. მე-18 ბაზრიდან უნდა გამოიყოს ორი ბაზარი: პირველი მიეკუთვნება ე.წ. managing transmission services, ხოლო მეორე ნაწილი access to network elements (დაშვება ქსელის ელემენტებთან). პოლიტიკის განსაზღვრისას, ე.წ. „მოსამზადებელი სამუშაოების“ ფარგლებში, უნდა წინასწარ განსაზღვროს თუ რომელ ბაზარზე უნდა მოხდეს სახელმწიფო ინტერვენცია, თუმცა მიუხედავად წინასწარი რეგულირებისა, DTT მაუწყებლობის საწყის ეტაპზე სახელმწიფომ (მარეგულირებელმა და სამინისტრომ) უნდა სისტემატური და მჭიდრო კონტროლი განახორციელონ ამ მიმართულებითაც.

სახელმწიფომ უნდა მოახდინოს კონკურენციის რეგულირება დომინანტ პლატფორმებთან მიმართებაში (e.g. satellite or cable). აღნიშნულის გამო, მიზანშეწონილია, დადგინდეს, რომ სპექტრის გამოყენების უფლება, ციფრული მაუწყებლობის საწყის ეტაპზე, რომლის ქსელთან და სიმძლავრეებთან დაშვების საკითხები უნდა მაქსიმალურად ეფექტურად დარეგულირდეს როგორც კანონით, ასევე კომისიის მიერ ბაზრის კვლევის და ანალიზის საფუძველზე. მულტიპლექს ოპერატორის არსებულ პასიურ და აქტიურ საქსელო

ინფრასტრუქტურასთან მაქსიმალურად ეფექტური და დროული დაშვების უზრუნველსაყოფად, მარეგულირებელი კომისიის მიერ მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა გამოკვლეული იქნას ის ბაზრის სეგმენტები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ე.წ. მე-18 ბაზრის სეგმენტთან.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კონკურენციის რეგულირება დაკავშირებულ მოწყობილობებთან დაშვების ნაწილში. კანონში ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ ჩადებულია გარკვეული რეგულირება და მოიცავს დაშვების ღიაობას, ღია პროგრამული ინტერფეისის არსებობის და სხვა ვალდებულებებს, თუმცა რეგულირების შემდგომ სტადიაზე, აღნიშნული საკითხები, შესაძლოა, დაზუსტდეს და საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულად დარეგულირდეს წინასწარი რეგულირების ფარგლებში.

13. რეკომენდირებული ბიზნეს მოდელი

არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებლების კონტენტის გავრცელების რამდენიმე მოდელი, თუმცა, მიგვაჩნია, რომ მულტიპლექსორის მართვის უფლება (რომელშიც გაერთიანებული იქნება სამაუწყებლო საეთერო სიგნალების გადატანა/გავრცელების ვალდებულებაც), უნდა მიენიჭოს კომერციულ იურიდიულ პირს, რომელსაც საერთო ავტორიზაციის და ციფრული სამაუწყებლო სიგნალების გავრცელების ლიცენზიის საფუძველზე მიენიჭება ყველა შესაბამისი უფლება და დაეკისრება შესაბამისი ვალდებულებები, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის აგრეგირებული კონტენტის და “must carry” კონტენტის გავრცელების ვალდებულება. ამ ვალდებულებების „მატარებელი“ ლიცენზიის გაცემა უნდა მოხდეს კონკურსის საფუძველზე, ხოლო მომდევნო ანალოგიური ლიცენზიები უნდა გაიცეს ორ საფეხურიანი აუქციონის საფუძველზე. მულტიპლექსორის სიმძლავრესთან დაშვება უნდა მოხდეს ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფით და იმ პირობებით, რომელიც უნდა განისაზღვროს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის ანალოგიურად (ურთიერთჩართვის ნაწილის მსგავსად).

აღნიშნული ბიზნეს მოდელის მხარდაჭერის პარალელურად, “must carry” ვალდებულების რეალიზაციის გარდა, სახელწიფო და გადასახადის გადამხდელი დაზოგავს იმ თანხებს, რომელიც იხარჯება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოყენებული საქსელო ინფრასტრუქტურის შესანახად (აღნიშნული თანხები, შესაძლოა, ანალოგიური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ, გამოყენებული იყოს გაციფრულების ფონდის მიერ დახარჯული თანხების დასაფარად).

გამოყენებული მასალები:

1. DIRECTIVE 2002/21/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 7 March 2002 „on a common regulatory framework for electronic communications networks and services“ (Framework Directive). <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2002:108:0033:0033:EN:PDF>
2. DIRECTIVE 2002/19/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 7 March 2002 „on access to, and interconnection of, electronic communications networks and associated facilities (Access Directive)“. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2002:108:0007:0007:EN:PDF>
3. DIRECTIVE 2009/140/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 November 2009 „amending Directives 2002/21/EC on a common regulatory framework for electronic communications networks and services, 2002/19/EC on access to, and interconnection of, electronic communications networks and associated facilities, and 2002/20/EC on the authorisation of electronic communications networks and services“
4. DIGITALEUROPE (the European electronic consumer equipment manufacturers) TECH 3333 EBU (HDTV Receiver Requirements; User Requirements. Geneva, March 2009). <http://tech.ebu.ch/docs/tech/tech3333.pdf>
5. DIGITALEUROPE White paper: Standardized DVB-T2 RF specifications. Brussels, April 17, 2012 http://www.digitaleurope.org/Portals/0/Documents/TRPG/Broadcast/DIGITALEUROPE_White_Paper_DVB-T2_RF_27-04-2012.pdf
6. consolidated version of Television Without Frontiers Directive (89/552/EC) incorporating the Commission’s proposal for a directive amending Directive 89/552/EC1. <http://www.cullen-international.com/cullen/multi/doc/audio/tvconsamended.pdf>
7. COMMISSION RECOMMENDATION of 11 February 2003 “on relevant product and service markets within the electronic communications sector susceptible to ex ante regulation in accordance with Directive 2002/21/EC of the European Parliament and of the Council on a common regulatory framework for electronic communication networks and services“ (notified under document number C(2003) 497) <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:114:0045:0049:EN:PDF>
8. DIRECTIVE 2002/22/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 7 March 2002 „on universal service and users' rights relating to electronic communications networks and services (Universal Service Directive)“ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2002:108:0051:0077:EN:PDF>
9. T Hazlett, J Mueller and R Munoz, The social value of the TV band spectrum in European countries, info (Vol 8, No 2);
10. C. Schoser and S. Santamato, The Commission’s state aid policy on the digital switchover, EC Competition Policy Newsletter, Spring 2006
11. General issues to be considered when planning SFNs. EBU TECHNICAL. MEDIA TECHNOLOGY & INNOVATION 13/03/09. <http://www.analysysmason.com/PageFiles/11730/EBU%20on%20SFN.pdf>
12. Study on Spectrum Management in the field of Broadcasting, FINAL REPORT, Implications of Digital Switchover for Spectrum Management.

13. http://ec.europa.eu/information_society/policy/ecomm/doc/library/ext_studies/spectrum_mgmt_bc_dswofinal_report_v3.pdf
Guidelines for the transition from analogue to digital broadcasting. ITU- 2010.
http://www.itu.int/dms_pub/itu-d/opb/hdb/D-HDB-GUIDELINES.01-2010-R1-PDF-E.pdf
15. Transition from analogue to digital terrestrial broadcasting ITU-R BT.2140-4. REPORT ITU-R BT.2140 (10/2011)
16. ECC REPORT 65. AUCTIONS AND BEAUTY CONTESTS IN CEPT ADMINISTRATIONS. Brijuni, May 2005
17. ofcom. Switchover Progress Report 2008
http://www.digitaluk.co.uk/_data/assets/pdf_file/0007/19447/Digital_UK_Ofcom_Q1_2008_FINAL.PDF